

ახალ ვარსკვლავთა ანთების დროს გამოტყორცნილი აირადი
გარსის შესახებ

შ. ბოკლელაძე

პირდაპირი დაკვირვებანიც კი, სხვა მრავალ შესაძლო დასაბუთებას რომ თავი დაეანებოთ, ადასტურებენ განზღად ნისლოვანი გარსის წარმოშობას ახალ ვარსკვლავების ირგვლივ სიკაშკაშის მაქსიმუმის შემდეგ. ასე მაგ.: ასტრონომ Barnard-ის მიერ 1916 წ. შემჩნეული იყო ასეთი გარსი ყოფილ ახალ ვარსკვლავის N Persei-ს გარშემო; 1918 წ. იმავე ასტრონომის მიერ— N Aquilae 1918 გარშემო.

ანალოგიური მოვლენები იყო აღნუსხული სხვა ახალ ვარსკვლავთა მიმართ, სახელდობრ: N Ophiuchi 1919, N Cygni 1920 და N Pictoris 1925.

ახალ ვარსკვლავთა გარშემო ამგვარ ნისლოვან გარსის გაჩენის ბუნებრივ მიზეზად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ვარსკვლავის ანთების პროცესში, ვარსკვლავს გამოეყოფა მისი მასის ნაწილი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მიზეზების გავლენით.

წინამდებარე შრომაში მიზნათ ვისახავთ სწორედ ამ გამოტყორცნილი აირადი მასის განსაზღვრას.

დასმული პრობლემის გამოკვლევისას ჩვენ ვსარგებლობდით „ტიპური ახალი“ ვარსკვლავების შესახებ არსებული მასალებით, როგორც უფრო საიმედო და დასაბუთებული მონაცემებით (იხ. ცხრ. II).

ის გარემოება, რომ ახალ ვარსკვლავებს მოეპოვებათ მთელი რიგი ერთგვაროვანი თავისებურებანი, როგორცაა: სიკაშკაშის აბსოლუტური სიდიდის მცირე დისპერსია მაქსიმუმის დროს, სიკაშკაშის ერთი, მკაფიოდ გამოსახული მაქსიმუმი მეორად უფრო სუსტ მაქსიმუმებთან ერთად, თითქმის მუდმივი სიკაშკაშე ანთების წინ და შემდეგ, ნისლოვან გარსების გაფართოების სიჩქარეთა მცირე დისპერსია, ევოლუციის პროცესში ანალოგიური სპექტრალური ცვლილებანი და სხვა,—უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვარსკვლავის სიკაშკაშის ზრდის მიზეზები საერთოდ ერთგვაროვანია.

შეენიშნავთ, რომ იმისდამიუხედავთ, თუ რა ბუნებისაა ეს მიზეზები,—საესებით ზოგადი მოსაზრებების საფუძველზე—ვარსკვლავის ბრწყინვალეების (L) ცვალებადობა უნდა მიმდინარეობდეს ტემპერატურისა (T) და მნათი ზედაპირის (Ω) ცვალებადობასთან ერთად, ე. ი.

$$L=f(T, \Omega)$$

თუ დავუშვებთ, რომ ვარსკვლავის მნათი ზედაპირი ანთების პროცესში უცვლელი რჩება, მაშინ სიკაშკაშის კოლოსალური ზრდის უზრუნველსაყოფად ანთების მომენტიდან მაქსიმუმამდე საჭირო იქნება ტემპერატურის უჩვეულო ზრდა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ვარსკვლავის აბსორბციული სპექტრის მიხედვით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტემპერატურა უცვლელი რჩება სპექტრში მკაფიო ნათელი ზოლების გაჩენამდე, ე. ი. სიკაშკაშის მაქსიმუმამდე.

სწორედ ამიტომ გაცილებით უფრო მიზანშეწონილია დავუშვათ, რომ ვარსკვლავის სიკაშკაშის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ვარსკვლავის მნათი ზედაპირის გაფართოებით.

ჩვენს გამოკვლევაში ნაგულისხმევია, რომ გაფართოებას განიცდიან ვარსკვლავის მხოლოდ გარე ფენები და, რომ სიმკვრივის ცვალებადობა უფრო ღრმა ფენებში, თუ საერთოდ ასეთს აქვს ადგილი, უმნიშვნელოა. ასეთი მოსაზრება მით უფრო სამართლიანია, რომ თუ ვარსკვლავის ყველა ფენის აირთა წილაკებს ექნებოდა ისეთი სიჩქარე, რომელიც შეესაბამება სიკაშკაშის ზრდას და სპექტრალური ხაზების დოპლერის გადანაცვლებას, ვარსკვლავი სავსებით უნდა გაბნეულიყო სივრცეში, რაც სინამდვილეში არ ხდება.

თუ ამ მოსაზრებებიდან გამოვალთ, მაშინ ნათელი იქნება, რომ ანთების დროს ვარსკვლავის მიერ სივრცეში გამოტყორცნილი მასა, რომელსაც ჩვენ ნისლოვანი გარსის სახით ვხედავთ ვარსკვლავის გარშემო, არ უნდა აღემატებოდეს იმ ფენათა მასას, რომლებიც გაფართოებაში მიიღებენ მონაწილეობას.

მაშასადამე გამოტყორცნილი მასის განსაზღვრა დაიყვანება ვარსკვლავის იმ ფენათა მასის განსაზღვრამდე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გაფართოებაში; ამასთანავე უკანასკნელი წარმოადგენს პირველის ზღვარულ მნიშვნელობას.

ამგვარ პირობების დადგენის შემდეგ შეიძლება შევეცადოთ თეორიულად მივიღოთ ბრწყინვალეობა L , როგორც დროის ერთგვარი ფუნქცია, რომელიც მოგვცემს სიკაშკაშის ცვალებადობის დახასიათებას და აგრეთვე გამოტყორცნილ მასის გამოანგარიშების საშუალებას.

ცხადია, „ანთების“ ასეთი „მოდელი“ გულისხმობს, რომ მასა ვარსკვლავიდან გამოიტყორცნება ერთბაშად და, რომ შემდეგში ეს მასა ძირითადად მუდმივი რჩება.

მაგრამ, ასეთ შესაძლებლობასთან ერთად შესაძლებელია არსებობდეს გარსის წარმოშობის სხვაგვარი მექანიზმიც, სახელდობრ: —ნივთიერების განუწყვეტელი დენადობა ვარსკვლავის ზედაპირიდან სივრცეში ნებისმიერი მიმართულებით.

ქვემოთ განხილულია ორივე შესაძლებლობა.

პირველად განვიხილოთ მასის გამოტყორცნის შემთხვევა, ე. ი. როცა მასის განთავისუფლება ერთბაშად ხდება.

აირადი გარსის გაფართოებისას უნდა განვიხილოთ ორი შემთხვევა:

ა) როდესაც გარსის ხაზოვანი სისქე იცვლება და

ბ) როდესაც ის უცვლელი რჩება.

ცხადია, პირველ შემთხვევაში გარსის სიმკვრივე რადიუსის კუბის, ხოლო მეორე შემთხვევაში რადიუსის კვადრატის უკუპროპორციულად იცვლება.

შევნიშნავთ, რომ ვინაიდან ახალი ვარსკვლავის ტემპერატურა სიკაშკაშის მაქსიმუმამდე შეიძლება უცვლელად ჩავთვალოთ, ამიტომ სიკაშკაშის კოლოსალური ზრდა ანთების მომენტიდან მაქსიმუმამდე უფლებას გვაძლევს დავწეროთ უტოლობანი: $R_1 < R_0 < R_{max}$, სადაც R_{max} ვარსკვლავის რადიუსია სიკაშკაშის მაქსიმუმის დროს, R_0 — ანთებამდე და R_1 — ვარსკვლავის იმ შინაგანი ფენების რადიუსი, რომლებიც მოცულობის საგრძნობ ცვლილებას არ განიცდიან; ამიტომ, გამოთვლებისას ჩვენ მივიჩნიეთ, რომ პრაქტიკულად ადგილი აქვს შემდეგს:

$$(R_{max} - R_0) \approx R_{max} \tag{A}$$

თუ სინათლის ინტენსიობას რომელიმე წერტილში დისკოზე აღვნიშნავთ $I(r)$ -ით მაშინ ხილული ნახევარსფეროს ინტეგრალური სიკაშკაშე გამოისახება ინტეგრალით:

$$L = 2\pi \int I(r) r dr \tag{1}$$

რადგან გარსის სხვადასხვა ნაწილების გამოსხივება, სანამ დამკვირვებელამდე მიაღწევდეს განიცდის შთანთქმას, ამიტომ $I(r)$ -სათვის ჩვენ გვექნება შემდეგი გამოთქმა (ნახ. 1):

$$I(r) = \int_r^R \alpha(r) B(r) e^{-\int_r^R \alpha(r) ds} ds + \int_r^R \alpha(r) B(r) e^{-[2 \int_r^R \alpha(r) ds - \int_r^R \alpha(r) ds]} ds \tag{2}$$

სადაც $\alpha(r)$ -ით აღნიშნულია შთანთქმის მოცულობითი კოეფიციენტი, $B = \sigma T^4$ წარმოადგენს გამოსხივების უნარს (Ergiebigkeit) ხოლო ds — გზის ელემენტს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტემპერატურა სიკაშკაშის მაქსიმუმამდე თითქმის უცვლელი რჩება; ამიტომ შესაძლებელია საკმაო მიახლოებით ჩავთვალოთ, რომ $B(r) = \text{const.}$

სიმარტივისათვის ჩვენ მივიღებთ, რომ სფეროს სიმკვრივე თანაბარია, მაშინ გვექნება აგრეთვე, რომ $\alpha(r) = \text{const.}$ ამასთანავე, თუ შევნიშნავთ, რომ $S = (r^2 - r_0^2)^{1/2}$ მაშინ (2)-ს ინტეგრირების შემდეგ მივიღებთ:

$$I(r) = B \left(1 - e^{-2\alpha(R^2 - r^2)^{1/2}} \right)$$

უკანასკნელის შეტანით (1)-ში და ინტეგრირებით 0-დან R -დე, სადაც R სფეროს რადიუსია, ვპოულობთ

$$L = \pi B \left[R^2 + \frac{(2\alpha R + 1)e^{-2\alpha R} - 1}{2\alpha^2} \right] \tag{3}$$

აირადი გარსის ოპტიური სისტემა განვსაზღვროთ ფორმულით

$$\tau = \int_{r_1}^{r_2} \alpha(r) dr = \int_{r_1}^{r_2} \kappa \rho dr \quad (4)$$

სადაც κ შთანთქმის საშუალო კოეფიციენტი მასის ერთეულზე, ρ — სიმკვრივე, ხოლო r_1 და r_2 გარსის შიგა და გარე რადიუსები შესაბამისად.

Chandrasekhar-ის თანახმად შთანთქმის საშუალო კოეფიციენტი მასის ერთეულზე უწყვეტ სპექტრში გამოისახება ტოლობით $\kappa = \delta \frac{x P_e}{T^{3/2}}$ და ამიტომ ვღებულობთ

$$\tau = \int_{r_1}^{r_2} \delta \frac{x P_e}{T^{3/2}} \rho dr \quad (4')$$

სადაც x არის იონიზაციის ხარისხი, P_e — ელექტრონული წნევა, ხოლო δ მუდმივი სიდიდე, იონიზაციის პოტენციალსა x და ატომურ წონაზე a დამოკიდებული და $\delta = 5.62 \times 10^{19} \times \frac{x^2}{a}$.

სიმარტივისათვის მივიღოთ, რომ $x \approx 1$, მაშინ $n_e = n$, სადაც n_e არის თავისუფალ ელექტრონთა რიცხვი, ხოლო n — ატომების რიცხვი მოცულობის ერთეულში. მაშინ (4) გადაიწერება შემდეგი სახით

$$\tau = \int_{r_1}^{r_2} c' \rho^2 dr, \quad (4'')$$

ან ჩვენს შემთხვევაში (A) შენიშვნის თანახმად შემდეგნაირად

$$\tau = c' \rho^2 R, \quad c' = \frac{\delta \kappa}{m T^{3/2}} \quad (5)$$

სადაც κ არის ბოლცმანის მუდმივი, ხოლო m — ატომის მასა.

ფოტოსფეროს იმ გარე ფენების მასა, რომლებიც გაფართოებაში ღებულობენ მონაწილეობას, აღვნიშნოთ M -ით, ხოლო საშუალო სიმკვრივე — ρ -ით; მაშინ, ცხადია, ყოველ გარკვეულ მომენტში ადგილი ექნება ტოლობას

$\rho = \frac{3M}{4\pi R^3}$ რომელიც (5)-თან ერთად გვაძლევს შემდეგს:

$$\tau = c_1'' M^2 R^{-5} = c_1 R^{-5}; \quad c_1'' = \frac{9c'}{16\pi^2} \quad (6)$$

(4) და (5) ტოლობათა ძალით (3) ღებულობს სახეს

$$L = \pi B C_1^{1/2} \left[1 + \frac{(2\tau + 1)e^{-2\tau} - 1}{2\tau^2} \right] \tau^{-3/2} \quad (7)$$

ეს ფორმულა გვაძლევს დამოკიდებულებას გარსის ბრწყინვალეობასა და მის ოპტიურ სისტეს შორის.

ახლა განვსაზღვროთ იგივე დამოკიდებულება იმ შემთხვევისათვის, როცა გარსის ხაზოვანი სისტემა უცვლელი რჩება გაფართოების დროს, მაშინ სიმკვრივე რადიუსის კვადრატის უკუპროპორციულად იცვლება. რადგან ხაზოვანი სისტემა ერთობ მცირეა გარსის რადიუსთან შედარებით, ამიტომ ამ შემთხვევაში შთანთქმელი შუალი შეიძლება ჩავთვალოთ ბრტყელსწვრივ ფენებათ და $I(r)$ -სთვის გვექნება (ნახ. 2) შემდეგი გამოსახულება:

$$I(r) = \int_0^{2\tau} e^{-\tau \sec \theta} B(\tau) \sec \theta d\tau$$

რომელიც (1)-თან ერთად მოგვცემს

$$L = 2\pi R^2 B \int_0^{\pi/2} \left[1 - e^{-2\tau \sec \theta} \right] \sin \theta \cos \theta d\theta = \pi B R^2 (1 - 2E_{i_3} 2\tau) \quad (8)$$

რადგან ამ შემთხვევაში გაფართოებული ფენების ხაზოვანი სისტემა $\Delta R = \text{const}$ ხოლო მოცულობა, ცხადია, უდრის $4\pi R^2 \Delta R$, ვღებულობთ

$$\rho = \frac{MR^{-2}}{4\pi \Delta R}; \quad \tau = \int_{r_1}^{r_2} c' \rho^2 dr = C_2 R^{-4} \quad (9)$$

და საბოლოოდ (8) და (9)-დან

$$L = \pi B C_1^{1/2} [1 - 2E_{i_3} 2\tau] \tau^{-1/2} \quad (10)$$

სადაც

$$C_2 = \frac{c'}{16\pi^2} \frac{M^2}{\Delta R} = c_1'' \frac{M^2}{\Delta R} \quad (11)$$

სიმარტივისათვის შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\varphi_1(\tau) = \tau^{-1/2} \left[1 + \frac{(2\tau + 1)e^{-2\tau} - 1}{2\tau^2} \right] \quad (12)$$

$$\varphi_2(\tau) = \tau^{-1/2} [1 - 2E_{i_3} 2\tau]$$

და მხედველობაში ვიქონიოთ, რომ $L_{\odot} = \pi B_{\odot} R_{\odot}^2$, მაშინ თანახმად (7), (10) და (12) მივიღებთ

$$\frac{L}{L_{\odot}} = \beta C_1^{1/2} R_{\odot}^{-2} \varphi_1(\tau); \quad \frac{L}{L_{\odot}} = \beta C_2^{1/2} R_{\odot}^{-2} \varphi_2(\tau) \quad (13)$$

სადაც

$$\beta = \frac{B}{B_{\odot}} \quad (14)$$

საბოლოოდ გვექნება

$$m_{abs} + 2 \lg M = N_1 - 2.5 \lg [\varphi_1(\tau)] \quad (15)$$

$$m_{abs} + 2.5 \lg \frac{M}{\sqrt{\Delta R}} = N_2 - 2.5 \lg [\varphi_2(\tau)]$$

სადაც m_{abs} წარმოადგენს ვარსკვლავის აბსოლუტურ სიდიდეს აღებულ მომენტში; ხოლო N_1 და N_2 — მუდმივებს, რომლებიც (5), (6) და (11) ტოლობათა თანახმად განისაზღვრებიან შემდეგი სახით:

$$N_1 = \lg [R_{\odot}^3 (\beta^{2.5} C_1^{1/2})^{-1} \times 10^{1.85}] \quad (16)$$

$$N_2 = \lg [R_{\odot}^3 (\beta^{2.5} C_2^{1/2})^{-1} \times 10^{1.85}]$$

(16) ტოლობანი საშუალებას გვაძლევს $m_{abs} + 2 \lg M$ და $m_{abs} + 2.5 \lg \frac{M}{\sqrt{\Delta R}}$

განესაზღვროთ, როგორც τ -ს ფუნქცია, რითაც აბსოლუტური სიდიდეც იქნება განსაზღვრული, როგორც τ -ს ფუნქცია.

ამისათვის საჭიროა ზოგიერთი პირობების შემოღება, რომელთა საფუძველზე შესაძლო გახდება N_1 და N_2 მუდმივთა განსაზღვრა.

როგორც აღვნიშნეთ, სპექტროსკოპული დაკვირვებანი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვარსკვლავის ეფექტური ტემპერატურა ანთებიდან სიკაშკაშის მაქსიმუმამდე უცვლელი რჩება და, რომ ის დაახლოებით ტოლია ტემპერატურის, რომელიც ჰქონდა ვარსკვლავს ანთებამდე. საშუალო ტემპერატურისთვის ჩვენ ავიღეთ მნიშვნელობა 10^4 grad ; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მზის ტემპერატურა $6 \times 10^3 \text{ grad}$ ეტოლება, მაშინ β -თვის გვექნება მნიშვნელობა

$$\beta = \left(\frac{5}{3}\right)^4 \quad (16')$$

შემდეგ დაუშვათ, რომ გამოტყორცნილი მასა უმთავრესად წყალბადისა და ჰელიუმის ატომებისაგან შესდგება, რაც β -თვის მოგვცემს საშუალო მნიშვნელობას 3.43×10^{21} . მაშინ (6), (11), (16) და (16')-ს თანახმად N_1 და N_2 მიიღებენ შემდეგ მნიშვნელობებს:

$$N_1 = 46.63$$

$$N_2 = 45.27 \quad (17)$$

უკანასკნელთა (15)-ში შეტანით და ოპტიური სისქის სხვადასხვა მნიშვნელობათათვის φ_1 და φ_2 ფუნქციათა განსაზღვრით მივიღებთ $m_{abs} + 2 \lg M$ და $m_{abs} + 2.5 \lg \frac{M}{\sqrt{\Delta R}}$ სიდიდეთათვის რიცხვობრივ მნიშვნელობებს.

ჩვენ აქ მოგვყავს ამ გამოთვლების მხოლოდ საბოლოო შედეგი ცხრ. I-ს სახით, საიდანაც ნაჩვენებ სიდიდეთა გარდა შესაძლებელია აგრეთვე რადიუსების მნიშვნელობათა გამოთვლა (6) და (9) ტოლობათა თანახმად.

შევნიშნავთ, რომ გამოთვლების დროს ჩვენ ვისარგებლეთ მიახლოებებით როცა $\tau > 3$ $\varphi_1(\tau) \approx \tau^{-2/3}$ როცა $\tau > 2$ $\varphi_2(\tau) \approx \tau^{-1/2}$ (B)

" $\tau < 0.1$ $\varphi_1(\tau) \approx \frac{4}{3} \tau^{2/3}$ " $\tau < 0.01$ $\varphi_2(\tau) \approx 4 \tau^{1/2}$

რომელთა სამართლიანობა უშუალოდ ცხადია (12)-დან.

ცხრილი I TABLE *

τ	$2.5 \lg [\varphi_1(\tau)]$	$2.5 \lg [\varphi_2(\tau)]$	$\lg R_1 - 0.4 \lg M$	$\lg R_2 - 0.5 \lg \frac{M}{\sqrt{\Delta R}}$	$m + 2 \lg M_1$	$m + 2.5 \lg \frac{M_2}{\sqrt{\Delta R}}$
10	1.0	2.750	1.842	2.063	47.63	46.52
9	1.046	2.807	1.851	2.075	47.53	46.47
8	1.097	2.871	1.861	2.088	47.54	46.40
7	1.155	2.944	1.873	2.102	47.48	46.33
6	1.222	3.027	1.886	2.119	47.41	46.25
5	1.301	3.126	1.902	2.139	47.33	46.16
4	1.398	3.247	1.921	2.103	47.24	46.03
3	1.462	3.404	1.946	2.194	47.17	45.87
2	1.568	3.618	1.981	2.238	47.07	45.66
1	1.617	3.932	2.042	2.313	47.02	45.34
0.9	1.608	3.970	2.051	2.325	47.03	45.30
0.8	1.593	4.007			47.04	45.27
0.7	1.570	4.043			47.06	45.23
0.6	1.535	4.078			47.10	45.20
0.5	1.482	4.107			47.15	45.17
0.4	1.406	4.128			47.23	45.15
0.3	1.295	4.129			47.34	45.15
0.2	1.103	4.089			47.53	45.19
0.1	2.812	4.929			47.82	45.35
0.05	2.361	4.686			48.27	45.50
0.04	2.213	4.595			48.42	45.68
0.03	2.023	4.471			48.61	45.80
0.02	3.764	4.286			48.87	46.00
0.01	3.312	4.952			49.32	46.32

* სხვა დანარჩენი მნიშვნელობანი შეიძლება მივიღოთ უბრალო ინტერპოლაციით (B) მნიშვნის საფუძველზე.
All other values can be obtained by a simple interpolation made on the ground of the remark (B).

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე არ არის ძნელი M_1 და $\frac{M_2}{\sqrt{\Delta R}}$ განსაზღვრა, რომლებიც ჩვენი აღნიშვნების თანახმად, ვარსკვლავის გარე, გაფართოებული ფენების მასას წარმოადგენენ; და რადგან ჩვენ ვარჩევდით სწორედ იმ შემთხვევას, როცა ეს მასა შესაძლოა ერთბაშად იქნეს გამოტყორცნილი ვარსკვლავიდან, ამიტომ M_1 და $\frac{M_2}{\sqrt{\Delta R}}$ მნიშვნელობანი შეგვიძლია მივიღოთ, როგორც გარსის მასის მნიშვნელობანი.

ამ მიზნით განვიხილოთ საკითხი, თუ ოპტიური სისქის რა მნიშვნელობის დროს აღწევს ახალი ვარსკვლავის ბრწყინვალეობა L მაქსიმუმს მოცემულ შემთხვევაში. მაქსიმუმის პირობებიდან:

$$\frac{d}{d\tau}[\varphi_1(\tau)] = 0; \quad \frac{d}{d\tau}[\varphi_2(\tau)] = 0$$

ვპოულობთ განტოლებებს

$$(5\tau^2 + 6\tau + 3)e^{-2\tau} + \tau^3 = 3; \quad 8\tau E_1 2\tau + 2E_2 2\tau = 1$$

ამოვხსნით რა მათ, მივიღებთ: $\tau_1 = 1.18$ და $\tau_2 = 0.34$ და მაშასადამე

$$L_{(max)} = \pi BC_1^2 \varphi_1(1.18); \quad L_{(max)} = \pi BC_2^2 \varphi_2(0.34). \quad (18)$$

მაშინ, (17) და (18) თანახმად, (15) გადაიწერება შემდეგი სახით:

$$\lg M_1 = 23.50 - \frac{1}{2} m_{(max)}; \quad \lg \frac{M_2}{\sqrt{\Delta R}} = 18.06 - \frac{2}{5} m_{(max)} \quad (19)$$

საიდანაც სჩანს, რომ ახალი ვარსკვლავის გარსის მასა M_1 დამოკიდებულია მისი აბსოლუტური სიდიდისაგან სიკაშკაშის მაქსიმუმის დროს და შეიძლება პირველის (მასის) უშუალოდ გამოთვლა, თუ ცნობილია უკანასკნელი. ამ გამოთვლის შედეგები მოცემულია ცხრ. III-ში; ამასთანავე $m_{(max)}$ მნიშვნელობანი ცხრ. II-დან არის აღებული.

ეს შედეგები საკმარისად უახლოვდება სხვა ავტორთა მიერ მიღებულ შედეგებს, რომლებმაც 11^m-ით ზრდის შემთხვევაში გამოტყორცნილი გარსის მასისთვის მიიღეს მნიშვნელობა: 2.7×10^{27} gr.

ცხრილი II TABLE*


№№ რიგ.	ახალი ვარსკვლავის დასახელება	m_1	m_{max}	m_2	$m_{(max)} - m_1$	$m_2 - m_1$	$v \times 10^{-7}$
1	N Coronae 1866	+0.6	-11.0	+0.6	11.6	0.0	—
2	N Persei 1901	+9.0	-4.8	+9.0	13.8	0.0	15.3
3	N Geminorum 1912	+3.5	-4.8	+5.5	8.3	-2.0	18.0
4	N Aquilae 1918	+3.0	-8.8	+3.0	11.8	0.0	22.47
5	N Ophiuchi 1919	—	-5.5	+1.0	—	—	3.0
6	N Cygni 1920	+9.0	-4.0	+9.0	13.0	0.0	24.0
7	N Herculis 1934	+5.0	-9.3	—	14.3	—	2.0
8	N Pictoris 1925	+3.8	-7.9	—	—	—	16.1

* m_1 -ით აღნიშნულია ვარსკვლავის აბსოლუტური სიდიდე ანთებამდე, m_2 -ით " " " " ანთების შემდეგ, $m_{(max)}$ -ით " " " " სიკაშკაშის მაქსიმუმის დროს. m_1 is the absolute magnitude of the given star before outburst, m_2 " " " " after " " " " at maximum of brightness.


ცხრილი III TABLE

№№ რიგზე	ვარსკვლავის დასახელება	M_1	$M_2/\sqrt{\Delta R}$
1	N Geminorum 1912	8×10^{25}	9.5×10^{19}
2	N Persei 1901	8×10^{25}	9.5×10^{19}
3	N Aquilae 1918	8×10^{27}	3.8×10^{21}
4	N Ophiuchi 1919	1.8×10^{26}	1.8×10^{20}
5	N Cygni 1920	3.2×10^{25}	4.5×10^{19}
6	N Coronae 1866	2×10^{29}	2.9×10^{22}
7	N Pictoris 1925	2.9×10^{27}	1.6×10^{21}
8	N Herculis 1934	1.4×10^{29}	6.0×10^{21}

განვიხილოთ ეხლა საკითხი თუ რამდენად ეთანადება ჩვენ მიერ თეორიულად მიღებული სიკაშკაშის მრუდი (7) ემპირიულს. სიკაშკაშის მრუდი ოპტიური სისქის τ ფუნქციის სახით წარმოდგენილია ნახ. 3-ზე, საიდანაც სჩანს, რომ თავდაპირველად ვარსკვლავის სიკაშკაშე იზრდება ოპტიური სისქის კლე-



ნახ. 1 Fig.




ნახ. 2 Fig.


ბასთან ერთად და აღწევს სათანადო მაქსიმუმს τ -ს გარკვეული მნიშვნელობისთვის ($\tau = 1.18$), ხოლო შემდგომი კლების დროს კი მცირდება.

აგრეთვე ცხრ. I-დან ნათლად სჩანს, რომ ოპტიური სისქის τ ცვალებადობასთან ერთად ახალი ვარსკვლავის სიკაშკაშე თანაბრად არ იცვლება. ასე მაგ., τ -ს დიდ მნიშვნელობათა შუალედში ($\tau > 10$) τ -ს 10-ჯერ შემცირებისას სიკაშკაშე პირველ შემთხვევაში 1^m0, ხოლო მეორე შემთხვევაში 1^m25-ით იზრდება, მაშინ როდესაც სიკაშკაშის მაქსიმუმის ახლოს იმავე ცვლილების

დროს სიკაშკაშე მხოლოდ $0^{m}6$ და $0^{m}3$ ოდენობით იზრდება შესაბამისად. მაშასადამე მაქსიმუმის ახლოს სიკაშკაშის ზრდა პირველ შემთხვევაში 1.6-ჯერ და მეორე შემთხვევაში 4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ანთების უახლოეს პერიოდში. ამ მხრივ ფუნქციები φ_1 და φ_2 , უმთავრესად φ_2 , ისეთ შედეგებს გვაძლევენ, რომლებიც თვისობრივად კარგათ უახლოვდებიან დაკვირვების მასალებს ახალ ვარსკვლავის სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ. ცნობილია, რომ სიკაშკაშის



ნახ. 3 Fig.



ნახ. 4 Fig.

ზრდა მკვეთრად კლებულობს მაქსიმუმის ახლოს ანთების უახლოეს პერიოდთან შედარებით; ასე მაგ., ვარსკვლავი N Persei 1901 პირველი 27 საათის განმავლობაში საათში საშუალოდ $0^{m}3$ მატულობდა სიკაშკაშეს, მაშინ, როცა შემდეგი 38 საათის განმავლობაში მაქსიმუმამდე საშუალო ნამატი საათში მხოლოდ $0^{m}07$ უდრიდა; ასე რომ, ამ სიდიდეთა ფარდობა თითქმის სავსებით ეთანადება φ_2 ფუნქციის მონაცემებს, მაგრამ ეს რაოდენობითი თანამთხვევა ერთადერთ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს; საერთოდ კი შეიძლება მხოლოდ თვისებით ანალოგიაზე მითითება; ამასთანავე, ამ მხრივ ახალ ვარსკვლავთა შორის გამონაკლისი თითქმის არ გვხვდება. მართალია, სიკაშკაშეთა ზრდის სიჩქარენი სხვადასხვა ვარსკვლავისათვის საერთოდ სხვადასხვაგვარია, მაგრამ სიკაშკაშეთა ზრდის სიჩქარეების (ანთების დასაწყისში და მაქსიმუმის ახლოს) ფარდობა აღებულ ვარსკვლავისათვის ყოველთვის მეტია ერთზე და თითქმის ყოველთვის მეტია იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ჩვენი ფუნქციები φ_1 და φ_2 იძლევიან. მაგალითად: ვარსკვლავისათვის N Geminorum 1912 ეს ფარდობა ერთობ დიდია.

სიკაშკაშის თეორიულ და ემპირიულ მრუდთა უფრო თვალსაჩინო შედარების მიზნით უმჯობესია ვიპოვოთ განტოლებანი $m = \varphi_1(t)$ და $m = \varphi_2(t)$, ე. ი. ვარსკვლავის აბსოლუტური სიდიდის მრუდები დროის ფუნქციის სახით.

ამისათვის საჭიროა ოპტიური სისქე τ გამოისახოს, როგორც დროის (t) ფუნქცია, რის გამოც აუცილებელია აირის გაფართოების სიჩქარეთათვის შემოვიღოთ გარკვეული მნიშვნელობანი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ვარსკვლავთა სპექტრებში სპექტრალურ ხაზთა გადაადგილება აირის წილაკათვის სიჩქარეთა სხვადასხვა მნიშვნელობებს იძლევა (რადგან სპექტრალურ ხაზებს რამდენიმე აბსორბციული კომპონენტი ახლავს) ახალი ვარსკვლავის განვითარე-

ბის ფაზასთან დამოკიდებულების მიხედვით. ცხრ. II-ში მოყვანილია ემპირიულ სიჩქარეთა (v) მაქსიმალური მნიშვნელობანი³.

თუ ვისარგებლებთ ამ ცხრილში მოყვანილი მონაცემებით და მივიღებთ მხედველობაში, რომ ვარსკვლავის გარსის გარე რადიუსის მნიშვნელობა ყოველ აღებულ მომენტში შეიძლება იმ მანძილის ტოლად ჩავთვალოთ, რომელსაც გაივლიდა აირის წილაკი პროცესის დასაწყისიდან შესაბამ მომენტამდე, მაშინ ადვილია ტოლობით $R = vt$ დამოუკიდებელი ცვლადი τ შევცვალოთ ცვლადით t -თი (6) და (9) განტოლებათა საფუძველზე და, მაშასადამე, მივიღოთ მრუდები

$$L = \varphi_1(t) \text{ და } B = \varphi_2(t)$$

ანუ იგივე ზემოთაღნიშნული მრუდნი.

ჩვენ აქ არ მოგვყავს ამ მრუდთა დამახასიათებელი ცხრილი უადგილობის გამო. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი ცხრილის მიღება ადვილად შეიძლება ცხრილ I-დან. ნახაზ 4-ზე წარმოდგენილია ორი მრუდი, რომელთაგან I—თეორიულია, ხოლო II—ემპირიული.

ნახაზიდან ნათლად სჩანს, რომ სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმამდე და აგრეთვე შემდეგ მის მცირე მახლობლობაში ორთავე მრუდები ემთხვევიან ერთმანეთს, ხოლო შემდეგში კი სცილდებიან.

მართალია, ორთავე მრუდი გვიჩვენებს სიკაშკაშის შემცირებას მთავარი მაქსიმუმის შემდეგ უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ზრდას მაქსიმუმამდე, მაგრამ თეორიული მრუდის მიხედვით სიკაშკაშის დაცემა ხდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ემპირიული მრუდის მიხედვით.

ამრიგად, სიკაშკაშის ჩვენი თეორიული მრუდი, რომელიც მიღებული იყო ვარსკვლავის გარსის მასის მუდმივობის შემთხვევისათვის, თუმცა საკმარისი მიახლოებით ახასიათებს ანთების პროცესის დამახასიათებელ ფაქტებს სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმამდე (სიკაშკაშის სწრაფი ზრდა, მაქსიმუმის მახლობლობაში ზრდის შედარებითი შენელება, ერთი გარკვეული მაქსიმუმი) და ნაწილობრივად ამ მაქსიმუმის შემდეგაც (სიკაშკაშის მკვეთრად დაცემა მაშინვე მაქსიმუმის შემდეგ, სიკაშკაშის ნაკლები სიჩქარით კლება მაქსიმუმის შემდეგ, ვიდრე ზრდა მაქსიმუმამდე), მაგრამ ვარსკვლავის ბრწყინვალეების კლებისთვის იძლევა გაცილებით უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე ამას ადგილი აქვს სინამდვილეში. კონკრეტულობისთვის შეიძლება მიუთითოთ ვარსკვლავის N Geminorum 1912 შემთხვევაზე, როცა თეორიული მრუდის მიხედვით ვარსკვლავის ბრწყინვალეობა უნდა შემცირებულიყო $4^{m}5$ -ით მთავარ მაქსიმუმიდან 40 საათის გასვლის შემდეგ; სინამდვილეში კი ამ ვარსკვლავის ბრწყინვალეობა მთავარი მაქსიმუმიდან მორიგ მეორად მაქსიმუმამდე დაეცა მხოლოდ 1.8 ვარსკვლავური სიდიდით 6 დღე-ღამის განმავლობაში.

მართალია, ეს შემთხვევა ერთობ უკიდურესია, მაგრამ ასეთი ხასიათის შეუსაბამობას თვისობრივად ყოველ „ანთების“ შემთხვევაში აქვს ადგილი.

ამ შეუსაბამობათა გამო შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გარსის ოპტიური სისქე გაცილებით უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ამას გაფართოების სიჩქარენი

(ცხრ. II) მოითხოვენ. მაშასადამე ახალი ვარსკვლავის წარმოშობა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ვარსკვლავის გარე ფენებიდან ერთჯერადი აქტის დროს ჩამოცლილი მასის მხოლოდ გაფართოება, როცა მასა უცვლელი რჩება, არამედ პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ გარსის რადიუსთან ერთად მასაც იცვლება, რის გამო აირადი გარსი უფრო ნელა ხდება გამჭვირვალე სიკაშკაშის მაქსიმუმის შემდეგ.

აქედან გამოვდინარეობს, რომ პირველად გამოტყორცნილ მასას თან ერთვის ნივთიერების განუწყვეტელი დენადობა. ამ შემთხვევაში ვარსკვლავის ბრწყინვალეების კლება შედარებით ნელა მოხდება.

თუ ასეთ თვალსაზრისს დავადგებით, მაშინ დენადი მასა შეიძლება შევაფასოთ განფენილი ფოტოსფეროს თეორიის საფუძველზე Wolf-Rayet ტიპის ვარსკვლავთა შემთხვევის ანალოგიურად.

ცხადია, ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ

$$\frac{dM}{dt} = -4\pi R_*^2 \rho v, \quad (20)$$

სადაც M ვარსკვლავის მასაა, ρ — სიმკვრივე, v — დენადობის სიჩქარე, ხოლო R_* — ვარსკვლავის ეფექტიური რადიუსის მნიშვნელობა, როცა ოპტიური სიღრმე ტოლია ერთის და განისაზღვრება განტოლებით

$$c' \rho^2 = \frac{1}{2R_*}, \quad (21)$$

სადაც c' არას მუდმივი, რომლის მნიშვნელობა მოცემულია (5)-ით. მეორეს მხრივ გვაქვს

$$L_* = \pi B R_*^2 \quad (22)$$

სადაც L_* ვარსკვლავის სიკაშკაშეა, ხოლო $B = \sigma T_{eff}^4$. მაშინ (20), (21) და (22)-თან ერთად გვაძლევს:

$$\frac{dM}{dt} = -\frac{4\pi}{V 2c'} \left(\frac{L_*}{\pi B}\right)^{3/4} v = -\frac{4\pi}{V 2c'} \left[\frac{L_\odot}{\pi B}\right]^{3/4} \left[\frac{L_*}{L_\odot}\right]^{3/4} v. \quad (23)$$

შემოვიღოთ აღნიშვნა $\left[\frac{L_*}{L_\odot}\right]^{3/4} = \psi(t)$ და მხედველობაში მივიღოთ, რომ

ზუსთვის $L_\odot = \pi B_\odot R_\odot^2$, მაშინ საბოლოოდ მივიღებთ

$$M = A \int \psi(t) dt; \quad A = \frac{4\pi}{V 2c'} \left[\frac{R_\odot}{\pi B}\right]^{3/4} v, \quad (24)$$

სადაც A მოცემული ვარსკვლავისათვის მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს, იმ პირობით, რომ $v = \text{const}$, ე. ი., რომ დენადობა სწარმოებს თანაბარი სიჩქარით.

ინტეგრალის (20) გამოთვლის დროს t აღებული იყო მაქსიმუმის მომენტიდან იმ მომენტამდე, როცა სიკაშკაშის რყევის ამპლიტუდა უმნიშვნელო

ხდება, რადგან ამ მომენტიდან სიკაშკაშის ცვალებადობა ნაკლებად იქნება დამოკიდებული მასის ცვალებადობაზე.

ცხადია, ასეთ შედარებით „სიმშვიდეს“ სხვადასხვა ვარსკვლავი მაქსიმუმის შემდეგ სხვადასხვა დროს განმავლობაში მიაღწევს; ამიტომ ჩვენ ინტეგრირების სხვადასხვა ზღვარი ავიღეთ სხვადასხვა ვარსკვლავისათვის¹.

შეგნიშნავთ აგრეთვე, რომ რიცხვითი ინტეგრირების დროს ინტეგრირების შუალედად 3 დღე ავიღეთ და ინტეგრირება მაქსიმუმის მომენტიდან გავავრცელოთ.

ტემპერატურისათვის და სიჩქარისთვის ესარგებლობდით წინა მეთოდში გამოყენებული მნიშვნელობებით.

გამოთვლების შედეგი ცხრ. IV-შია მოცემული, სადაც ნაჩვენებია აგრეთვე ინტეგრირების ზღვრები (t) და წინათ და ამ შემთხვევაში მასისთვის მიღებულ მნიშვნელობათა ფარდობა (μ).

ცხრილი IV TABLE

№№ რიგზე	ვარსკვლავის დასახელება		M	t	μ
1	N Persei	1901	5.6×10^{27}	126	71
2	N Geminorum	1912	7.3×10^{27}	36	91
3	N Aquilae	1918	2.1×10^{29}	183	26
4	N Cygni	1920	4.6×10^{27}	87	144
5	N Pictoris	1925	2.8×10^{29}	174	96
6	N Herculis	1934	1.8×10^{29}	175	10

დენადი მასის მიღებული მნიშვნელობანი M შეიძლება რამდენადმე გაზვიადებულად ჩაითვალოს, რადგან გამოთვლებისას ჩვენ მაქსიმალური სიჩქარეებით (ცხრ. II) ესარგებლობდით, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუძლია ოდენობათა რიგზე არსებითი გავლენის მოხდენა.

ახლა ჩვენ შევეცდებით ნისლოვანი გარსის მასა იმ აკრძალული სპექტრალური ხაზების საშუალებით განვსაზღვროთ, რომლებიც ახალი ვარსკვლავის სპექტრში სიკაშკაშის მაქსიმუმიდან რამდენიმე დღის (N Aquilae 1918) ან რამდენიმე თვის ან წლის (N Pictoris 1925) გავლის შემდეგ წარმოიშობიან. ეს ხაზები უმრავლეს შემთხვევაში მსუბუქ ელემენტთა იონებს ეკუთვნის. მათი ინტენსიობა პირველად მატულობს, აღწევს ერთგვარ მაქსიმუმს; შემდეგ თანდათანობით სუსტდება და ბოლოს სავსებით ქრება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აკრძალული გადასვლების განხორციელება მატერიის მცირე სიმკვრივესთან არის დაკავშირებული, მაშინ აკრძალული ხაზების ინტენსიობის აღნიშნული კანონზომიერი ცვლილებანი შეგვიძლია აეხსნათ, როგორც ნისლოვანი გარსის გაფართოების შედეგი.

პირველად ნისლოვანი გარსის გაფართოების ის ეტაპი განვიხილოთ, როდესაც გარსის სიმკვრივე ჯერ კიდევ დიდია და წილაკთშორისი შეხლა იმდენად ხშირი, რომ ორი მიმდევრობითი მეორეგვარ შეხლის შუა გავლილი დრო

ერთობ მცირე აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფ ატომთა სიკოცხლის ხანგრძლივობასთან შედარებით.

ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ამ შემთხვევაში მეტასტაბილურ და ძირითად მდგომარეობაში მყოფ იონების რაოდენობათა ფარდობა არ არის დამოკიდებული მატერიის სიმკვრივეზე, რადგან აღებული სახის იონების მდგომარეობათა მიხედვით განაწილება თითქმის ბოლცმანის კანონის თანახმად ხდება.

მაშინ კი, როცა აირადი გარსი განიცდის გაფართოებას, სიმკვრივე თანდათან კლებულობს რის შედეგადაც, იონიზაციის თეორიის თანახმად, აღებული სახის იონთა რიცხვი მატულობს. ამიტომ, რადგან მეტასტაბილური და ძირითად მდგომარეობებში მყოფ იონთა რიცხვების ფარდობა მუდმივი რჩება, განსახილავ აკრძალულ ხაზების ინტენსიობა უნდა გაძლიერდეს; დაბოლოს ზღვარული იონიზაციის დროს, ხაზებმა მაქსიმალური ინტენსიობა უნდა გვაჩვენონ. შემდგომი გაფართოება იმდენად ამცირებს გარსის სიმკვრივეს, რომ წილაკთშორისი შეხლა იშვიათად ხდება, იონთა აღგზნებაც იშვიათად სწარმოებს და ინტენსიობა თანდათანობით უნდა შემცირდეს, დაბოლოს სპექტრალური ხაზი შეიძლება სავსებით გაქრეს.

ამრიგად ცხადია, რომ მოცემულ აკრძალულ სპექტრალურ ხაზს გარკვეულ მომენტში მაქსიმალური ინტენსიობა უნდა ჰქონდეს, რაც უნდა მოხდეს გარსის გარკვეული სიმკვრივის დროს.

გამოვთვალოთ ამ სიმკვრივის მნიშვნელობა.

გარკვეულობისათვის ავიღოთ ორჯერ იონიზირებულ ქანგბადატომთა შესაბამის ნებულიარული ხაზები $\lambda 5006.80$ და $\lambda 4958.91$. ძირითად მდგომარეობაში მყოფ ორჯერ იონიზირებულ ქანგბადატომთა რაოდენობა მოცულობის ერთეულში n_1^{++} -ით აღვნიშნოთ, ხოლო მეტასტაბილურ მდგომარეობაში n_2^{++} -ით; მაშინ, თუ ინდუცირებულ გადასვლებს მხედველობაში არ მივიღებთ, შეგვიძლია დავწეროთ

$$n_1^{++} b_{1 \rightarrow 2} = n_2^{++} (a_{2 \rightarrow 1} + A_{2 \rightarrow 1})$$
$$\frac{n_2^{++}}{n_1^{++}} = \frac{b_{1 \rightarrow 2}}{a_{2 \rightarrow 1} + A_{2 \rightarrow 1}}, \tag{25}$$

სადაც $A_{2 \rightarrow 1}$ სპონტანური გადასვლის 2-1 ალბათობის კოეფიციენტი, $b_{1 \rightarrow 2}$ პირველგვარი, ხოლო $a_{2 \rightarrow 1}$ მეორეგვარი შეხლის ალბათობა.

განსახილავ სპექტრალურ ხაზებში აირადი გარსით გამოსხივებული ენერჯიის სრული რაოდენობა I -ით აღვნიშნოთ. ცხადია, მოცულობის ერთეულით გამოსხივებული ენერჯიის რაოდენობა იქნება $A_{2 \rightarrow 1} n_2^{++} h\nu$ და ამიტომ მივიღებთ ტოლობას

$$I = \frac{4}{3} \pi R^3 A_{2 \rightarrow 1} n_2^{++} h\nu, \tag{26}$$

სადაც R გარსის რადიუსია.

$$\text{რადგან } b_{1 \rightarrow 2} = \frac{g_2}{g_1} e^{-\frac{h\nu}{kT}} a_{2 \rightarrow 1}, \text{ ხოლო } a_{2 \rightarrow 1} \text{ თავისუფალ ელექტრონთა}$$

საერთო რიცხვის (n_e), სიჩქარის (v_e) და აგრეთვე ატომთა განივქროლის (σ) პროპორციულია, ამიტომ, თუ ჩავთვლით სიმარტივისათვის, რომ თვითეულ ატომზე საშუალოდ ერთი თავისუფალი ელექტრონი მოდის—მივიღებთ

$$a_{2 \rightarrow 1} = v_e n_e \sigma = \frac{v_e \sigma}{m} \rho = \beta \rho, \tag{27}$$

სადაც ρ სიმკვრივეა, ხოლო m —ატომის საშუალო მასა.

(25) და (27)-ის გამო, განტოლება (26) გადაიწერება შემდეგნაირად:

$$I = N \frac{\rho R^3 n_1^{++}}{\beta \rho + A_{2 \rightarrow 1}}, \tag{28}$$

სადაც

$$N = \frac{4}{3} \pi \frac{g_2}{g_1} \beta h\nu A_{2 \rightarrow 1} e^{-\frac{h\nu}{kT}} = \text{const.} \tag{28'}$$

იონიზაციის ფორმულის თანახმად გვაქვს

$$\frac{n^{++}}{n^+} \rho = W \omega$$
$$\omega = \frac{(2\pi m k T)^{3/2}}{h^3} \frac{1}{m} e^{-\frac{\chi}{kT}}$$
$$W = \frac{1}{4} \left(\frac{R_*}{R} \right)^2, \tag{28''}$$

სადაც W დილიუციის ფაქტორი, ხოლო χ იონიზაციის პოტენციალია. მამრავლი ω , როგორც ვხედავთ, მხოლოდ ტემპერატურის ფუნქციას წარმოადგენს.

მეორეს მხრივ, ვარსკვლავის გარსში ქანგბადატომთა საერთო რიცხვი ყველა მდგომარეობაში, მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს და თუ უკუვავდებთ ნეიტრალურ და სამჯერ იონიზირებულ ატომთა რიცხვს, გვექნება

$$R^3 (n^+ + n^{++}) = \text{const}; \tag{28'''}$$

მაშინ (28''') და (28'') განტოლებებიდან ვღებულობთ:

$$R^3 n^{++} = \frac{\text{const}}{1 + \frac{\rho}{W \omega}}. \tag{29}$$

რადგან გარსი გაფართოებას განიცდის, დილიუციის ფაქტორი W ცვლადი სიდიდეა; გამოვსახოთ იგი საშუალო სიმკვრივით.

თუ R გარსის რადიუსია, ხოლო r—მანძილი ვარსკვლავის ზედაპირიდან გარსის რომელიმე წერტილამდე, ყოველთვის ექნება ადგილი ტოლობებს

$$R = cr^{-1/2}; \quad r = kr^{-1/2}, \quad (30)$$

სადაც k და c პროპორციულობის მუდმივი კოეფიციენტებია.

ამიტომ $\frac{p}{W} = \frac{4}{R^2} k^2 c^2 p^{1/2}$, საიდანაც (29)-თვის ვპოულობთ

$$R^2 n^{++} = \frac{\text{const}}{1 + \gamma p^{1/2}}, \quad (31)$$

სადაც

$$\gamma = \frac{4}{R^2} k^2 c^2 \omega^{-1}. \quad (31')$$

(25)-თან ერთად ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ უტოლობა:

$$\frac{n_2^{++}}{n_1^{++}} = \frac{b_{1 \rightarrow 2}}{a_{2 \rightarrow 1} + A_{2 \rightarrow 1}} < \frac{b_{1 \rightarrow 2}}{a_{2 \rightarrow 1}} = \frac{g_2}{g_1} e^{-\frac{h\nu}{kT}}. \quad (D)$$

რადგან ამ უტოლობის მარჯვენა ნაწილი ჩვეულებრივად ერთზე ნაკლებია, ამიტომ შეგვიძლია მივიღოთ, რომ ძირითად მდგომარეობაში მყოფ ორჯერ იონიზირებულ ატომთა რიცხვი (n_1^{++}) გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მეორე მდგომარეობაში მყოფ ორჯერ იონიზირებულ ატომთა რიცხვი (n_2^{++}). ამის გამო შეგვიძლია მივიღოთ დაახლოებით, რომ ორჯერ იონიზირებულ ატომთა საერთო რაოდენობა სადარია ძირითად მდგომარეობაში მყოფ ორჯერ იონიზირებულ ატომთა რაოდენობის, ე. ი. $n^{++} \approx n_1^{++}$.

ამიტომ ფორმულა (28), (31) ტოლობის საფუძველზე გადაიწერება შემდეგი სახით:

$$I = N \text{const } \rho [(\beta \rho + A) (1 + \gamma \rho^{1/2})]^{-1}. \quad (32)$$

მაქსიმუმის პირობიდან $\frac{dI}{dt} = 0$, სათანადო ალგებრულ გარდაქმნათა შემდეგ, ვპოულობთ განტოლებას $\beta \gamma \rho^{1/2} - 2A_{2 \rightarrow 1} \gamma \rho^{1/2} - 3A_{2 \rightarrow 1} = 0$ ანუ, თუ მხედველობაში მივიღებთ (30),

$$\rho^2 - 2\alpha_1 \rho - \alpha_2 = 0, \quad (33)$$

სადაც

$$\alpha_1 = A_{2 \rightarrow 1} \beta^{-1}; \quad \alpha_2 = \frac{3}{4} \left(\frac{R_*}{R_{max}} \right)^2 \beta^{-1} A_{2 \rightarrow 1} \omega = 3\beta^{-1} W_{max} \omega A_{2 \rightarrow 1}. \quad (33')$$

ამ კვადრატულ განტოლების ამონახსნი წარმოადგენს აირადი გარსის საშუალო სიმკვრივის მნიშვნელობას სავსებით გარკვეულ მომენტისათვის, როცა აკრძალული ხაზების (OIII) ინტენსიობა მაქსიმუმს აღწევს.

(33) რიცხვითი სახით ამონხსნისათვის აუცილებელია განტოლების კოეფიციენტთა განსაზღვრა. გამოთვლებისას ჩვენ ვისარგებლეთ საშუალო „ტიპური“ მნიშვნელობებით:

$$\begin{aligned} T &= 5 \times 10^4 \text{ grad} & v &= 10^8 \text{ cm/sec} \\ \sigma_0 &= 6.65 \times 10^{-16} \text{ cm} & s &= 1.55 \times 10^7 \text{ sec} \\ m_a &= 3.5 \times 10^{-24} \text{ gr} & 1/A &= 26 \text{ sec} \\ \chi &= 349 \text{ e. v.} \end{aligned} \quad (E)$$

სადაც χ არის (OIII) იონიზაციის პოტენციალი, v —გარსის გაფართოების სიჩქარე, ან, უფრო სწორად, ვარსკვლავის ზედაპირიდან სივრცეში აირის წილაკთა ძრაობის სიჩქარე, t -დრო სიკაშკაშის მაქსიმუმიდან მეტასტაბილურ მდგომარეობის 1D_2 შესაბამ ხაზების λ 5006.80 და λ 4958.91 ინტენსიობის მაქსიმუმამდე და $1/A$ —ატომთა სიციცხლის ხანგრძლივობა მდგომარეობაში 1D_2 . (27, 28" და 33') ტოლობათა თანახმად ვღებულობთ საბოლოოდ შემდეგ მნიშვნელობებს:

$$\begin{aligned} \beta &= 2.85 \times 10^{16} & \alpha_1 &= 1.4 \times 10^{-18} \\ \omega &= 2.81 \times 10^{-15} & \alpha_2 &= 5.7 \times 10^{-32} \\ W_{max} &= 5.03 \times 10^{-10} & \rho &= 2.4 \times 10^{-16} \text{ gr/cm}^3 \end{aligned} \quad (F)$$

რადგან ρ -ს მნიშვნელობის გამოთვლისას სიდიდე α_1^2 უკუვაგდეთ, როგორც ერთობ მცირე α_2 -ს მიმართ.

გამოსავალ ოდენობათა შორის ძირითადია: ტემპერატურის, გაფართოების სიჩქარის და მაქსიმუმის დადგომის დროის მნიშვნელობა. ჩვენ მიერ შემოღებული მნიშვნელობანი, ცხადია, არ შეიძლება ზუსტად ჩაითვალოს, ისინი მხოლოდ უფრო ალბათი საშუალო მნიშვნელობებია შესწავლილ „ტიპურ ახალ“ ვარსკვლავთა მიმართ, რაშიაც ჩვენ უკანასკნელთა შესახებ სპექტროსკოპული მონაცემები გვარწმუნებენ. ამასთანავე, აუცილებელმა შეცდომებმა ამ სიდიდეთა ნორმირების დროს, არ უნდა მოახდინონ გავლენა სიდიდეთა რიგზე, რადგან საერთო სახის გავლენისას, ცდომილებათა ერთგვარ კომპენსირებას ექნება ადგილი.

სამწუხაროდ სპექტრალური ხაზების ინტენსიობის მაქსიმუმის მომენტის განსაზღვრა, რაიც არსებული დაკვირვებითი მასალების საფუძველზე ხდება, ყველაზე უფრო ძნელია, რადგან ემისიური ხაზების ჩვეულებრივი ვიზუალური შეფასებანი არსებითად იმ კონტრასტს გამოსახვენ, რომელიც ემისიურ ხაზებსა და უწყვეტ სპექტრს შორის არსებობს, და არა ხაზების აბსოლუტურ ინტენსიობას დროის მიხედვით უცვლელ ერთეულებში. ამიტომ, სიმკვრივის მიღებული მნიშვნელობა მაინც დაახლოებითი მნიშვნელობად უნდა ჩაითვალოს. თუ მხედველობაში გვექნება, რომ გარსის ხაზოვანი სისქე არ შეიძლება v -ს აღემატოს, გარსის მასის ზღვარულ მნიშვნელობისათვის მივიღებთ: $3.73 \times 10^{30} \text{ gr}$, რაც საკმაოდ უახლოვდება ცხრ. IV-ში მოყვანილ შედეგებს.

თუ გამოთვლებს მოვახდენთ კერძოდ N Pictoris 1925 მიმართ და მხედველობაში მივიღებთ, რომ გაფართოების სიჩქარე საშუალოდ 450-500 კმ/სეკ არ აღემატება და, რომ სპექტრალური ხაზების λ 5006.80 და λ 4958.91

ინტენსიობის მაქსიმუმი დაახლოებით 1926 წ. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში იყო ⁶, მაშინ ამ ვარსკვლავის გარსის მასისთვის ვლენბულომ მნიშვნელობას 4.7×10^{29} gr, რაც საკმარისად უახლოვდება მისთვის მეორე მეთოდით მიღებულ მნიშვნელობას (უწყვეტი დენადობის თვალსაზრისით).

დასკვნა. ამრიგად ვარსკვლავის „ანთების“ პროცესში გამოტყორცნილი მასა, რომელიც შემდეგში კმნის ვარსკვლავის გარშემო ნისლოვან გარსს, ჩვენ შევაფასეთ სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეთოდით.

მიღებულ მნიშვნელობათა ერთმანეთთან შედარება გვარწმუნებს, რომ ვარსკვლავის ანთების პროცესში ვარსკვლავის ზედაპირიდან სასრულო ოდენობის მასის გამოტყორცნის დაშვება, დამაკმაყოფილებელ ინტერპრეტაციას აძლევს სიკაშკაშის მთავარი მაქსიმუმის დადგომას და ამ მაქსიმუმის შემდეგ მის უშუალო მახლობლობაში ბრწყინვალეების სწრაფად და მკვეთრად დაცემას.

ამ მასის ოდენობა დამოკიდებულია ვარსკვლავის აბსოლუტური სიდიდისაგან სიკაშკაშის მაქსიმუმის დროს (ფორმულა 19).

მართო სასრულო ოდენობის მასის გარსით, რომელიც შეიძლება ჩამოცლოდა ვარსკვლავის გარე ფენებს ერთჯერადი აქტის შედეგად, აფეთქების მსგავსად, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად აიხსნას სიკაშკაშის კლების ემპირიული სიჩქარენი მთავარი მაქსიმუმის შემდეგ, რადგან ამ შემთხვევაში ვარსკვლავის ბრწყინვალეება უნდა დაცემულიყო გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ხდება სინამდვილეში.

ამ გარემოების მიზეზათ უნდა ჩავთვალოთ გარსის ოპტიური სისქის გაცილებით უფრო ნელი კლება, ვიდრე ამას ექნებოდა ადგილი თუ ერთხელ გამოტყორცნილი გარსის მასა, გარსის შემდგომი გაფართოების დროს დარჩებოდა უცვლელი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ვარსკვლავიდან მასის ერთჯერადი აქტით გამოტყორცნასთან ერთად ადგილი აქვს აგრეთვე მასის უწყვეტ დენადობას ვარსკვლავის ზედაპირიდან სივრცეში. ასეთი მოსაზრების მართებულობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდანაც, რომ უწყვეტი დენადობის და სპექტროსკოპულ მეთოდებით მიღებული მნიშვნელობანი გარსის მასისთვის, საკმარისად კარგათ უახლოვდებიან ერთმანეთს და აგრეთვე იმ ფაქტიდან, რომ ანთების შემდეგ „ყოფილი ახალი ვარსკვლავები“ იძენენ Wolf-Rayet ტიპის ვარსკვლავთა სპექტრს⁷, რომლის დამახასიათებელი თავისებურებანი თანამედროვე თეორიის მიხედვით გამოწვეულია ვარსკვლავის ზედაპირიდან სივრცეში მატერიის უწყვეტი დენადობით.

მეორადი მაქსიმუმის არსებობა გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მთავარი მაქსიმუმის შემდეგ უწყვეტ დენადობასთან ერთად ადგილი აქვს მატერიის აფეთქების მსგავს გამოტყორცნასაც, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლები სიმძლავრით, ვიდრე მთავარი მაქსიმუმის დროს.

თუ მატერიის უწყვეტი დენადობის თვალსაზრისით მიღებულ მასათა მნიშვნელობებს ერთმანეთს შევადარებთ სიკაშკაშის იმ აბსოლუტურ სიდიდეების შესაბამისად, რომლებიც ახალ ვარსკვლავებს ანთებამდე ჰქონდათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ განთავისუფლებულ მასას ერთგვარი კავშირი აქვს არა მარ-

ტო სიკაშკაშის რყევის ამპლიტუდასთან, არამედ აგრეთვე სიკაშკაშის იმ მნიშვნელობებთან, რომლებიც ვარსკვლავებს ანთებამდე ჰქონდათ.

მართლაც N Aquilae 1918 შემთხვევაში, როცა სიკაშკაშის რყევის ამპლიტუდა $11^{m.8}$ იყო, თითქმის ასჯერ უფრო მეტ მასას ვლენბულომ, ვიდრე N Cygni 1920 და N Persei 1901 შემთხვევაში, როცა ამპლიტუდა $13^{m.0}$ და $13^{m.8}$ უდრიდა შესაბამისად.

საერთოდ ამგვარი შედარებებით ირკვევა, რომ განთავისუფლებული მასა მით უფრო მცირეა, რაც უფრო მცირეა ვარსკვლავის აბსოლუტური სიკაშკაშე ანთებამდე.

მცირე სიკაშკაშის ვარსკვლავთა ასეთი „მომქირნეობა“ მიგვიჩინებს იმ გარემოებაზე, რომ ვარსკვლავის პირველად მასასა და გამოტყორცნილ მის ნაწილს შორის უნდა არსებობდეს ერთგვარი დამოკიდებულება, რაც ზოგადი მოსაზრებების მიხედვით არ შეიძლება არაბუნებრივად ჩაითვალოს, თუმცა ამ დამოკიდებულების ხასიათი ჯერჯერობით უცნობია.

